

საერთო პირობების დანართი N23 - ანგარიშთა პაკეტი

1. ანგარიშთა პაკეტი წარმოადგენს საბანკო პროდუქტების/მომსახურების ერთობლიობას, რომლის დროსაც თითოეული საბანკო პროდუქტის/მომსახურების საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ, კლიენტი გადაიხდის მხოლოდ ანგარიშთა პაკეტის საკომისიოს, ხოლო ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტებისთვის/მომსახურებისთვის ისარგებლებს იმ პირობებით (მათ შორის უფასოდ ან/და საშეღავთო პირობებით), რაც განსაზღვრულია კონკრეტული ტიპის ანგარიშთა პაკეტით. ამასთან, სხვა საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე გავრცელდება ბანკში დადგენილი საკომისიო.
2. ანგარიშთა პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა კლიენტს მიეცემა შესაბამისი განაცხადის შევსებისა და ხელმოწერის შემდეგ, თუმცა კლიენტის მიერ განაცხადის შევსება და ხელმოწერა არ ნიშნავს ბანკის მხრიდან ანგარიშთა პაკეტით უპირობოდ მომსახურების ვალდებულებას და ბანკი უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განუცხადოს კლიენტს ანგარიშთა პაკეტით სარგებლობაზე.
3. ანგარიშთა პაკეტით სარგებლობა არ გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტის/მომსახურების ავტომატურად გააქტიურებას, შესაბამისად ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია ბანკის მიერ დადგენილი სტანდარტების/პროცედურების და პირობების შესაბამისად, მათ შორის დადგენილი წესით კლიენტის მიერ შესაბამისი საბანკო პროდუქტის/მომსახურების მიღების/გააქტიურების მიზნით ბანკისთვის მიმართვის შემთხვევაში.
4. ანგარიშთა პაკეტით სარგებლობის დაწყებისთანავე ანგარიშთა პაკეტის პირობები გავრცელდება როგორც კლიენტის ახალ, ისე კლიენტის არსებულ საბანკო პროდუქტებზე/მომსახურებაზე (თუ შესაბამისი საბანკო პროდუქტი/მომსახურება განსაზღვრულია ანგარიშთა პაკეტით).
5. ანგარიშთა პაკეტის საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობის შესაბამისად: პირველი თვის/წლის საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს ანგარიშთა პაკეტის გააქტიურებისთანავე. ამასთან, ყოველი შემდგომი თვის საკომისიო გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვამდე, ხოლო ყოველი მომდევნო წლის საკომისიო შესაბამისი წლის დაწყებისთანავე.
6. ანგარიშთა პაკეტის ტიპებია:
 - 6.1. Account Package ანგარიშთა პაკეტი;
 - 6.2. SOLO ანგარიშთა პაკეტი, რომელიც თავის მხრივ იყოფა SOLO, SOLO FAMILY და SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტებად.
7. Account Package ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტები/მომსახურება და მათთვის დადგენილი პირობები:
 - 7.1. ანგარიში - უფასოდ 1 (ერთი) მულტისავალუტო უნივერსალური ანგარიში;
 - 7.2. ბარათი - უფასოდ 1 (ერთი) ციფრული ბარათი;
 - 7.3. ურთიერთობის პროგრამა PLUS - უფასოდ 1 (ერთი) PLUS ბარათი;
 - 7.4. ინტერნეტ ბანკი - მომსახურება უფასო;
 - 7.5. მობილ ბანკი - მომსახურება უფასო;
 - 7.6. ტელეფონ ბანკი - მომსახურება უფასო;
 - 7.7. SMS ბანკი - მომსახურება უფასო;
 - 7.8. ავტომატური გადახდები - მომსახურება უფასო;
 - 7.9. მუდმივი საგადასახადო დავალება - მომსახურება უფასო;
8. SOLO ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტები/მომსახურება და მათთვის დადგენილი პირობები:
 - 8.1. პერსონალური ბანკირის მომსახურება - უფასოდ;
 - 8.2. მომსახურება სპეციალიზებულ სერვის ცენტრებში (SOLO ლაუნჯებში);
 - 8.3. სატელეფონო ცენტრი, რომლის ტელეფონის ნომერია (+995) 032 2 444 400;
 - 8.4. სპეციალური პირობები ანაბარსა და საკრედიტო პროდუქტებზე;
 - 8.5. SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტით მომსახურების ფარგლებში SOLO CLUB ADDITIONAL პაკეტის გააქტიურების შემთხვევაში (რომელზეც სრულად ვრცელდება ანგარიშთა პაკეტისთვის წინამდებარე დანართით დადგენილი პირობები), SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტით განსაზღვრულ ბარათებთან ერთად, კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს შემდეგი დამატებითი ბარათებით:

- 8.5.1. უფასოდ 1 (ერთი) SOLO CLUB ბარათი;
- 8.5.2. უფასოდ 1 (ერთი) American Express Platinum ან American Express Gold ბარათი (American Express საკრედიტო ბარათზე 10000 (ათი ათასი) ლარზე ნაკლები ლიმიტის დამტკიცების შემთხვევაში, American Express ბარათის ტიპი განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ);
- 8.5.3. უფასოდ 1 (ერთი) SOLO Premium ბარათი.
- 8.6. **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობებით, სხვა (მათ შორის **განცხადში** მითითებული) **საბანკო პროდუქტ(ებ)ი/მომსახურება**;
9. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, თუ **ბანკის** მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **საბანკო პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის** დადგენილი უფასო მომსახურება გულისხმობს შესაბამისი **საბანკო პროდუქტის/მომსახურების** გააქტიურების შემთხვევაში მის უფასო ხელმისაწვდომობას და არ ვრცელდება **საბანკო პროდუქტის/მომსახურების** სარგებლობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებასთან/ოპერაციასთან დაკავშირებით დადგენილ **საკომისიოზე/საფასურზე** ან/და ნებისმიერი სხვა სახის **საკომისიოზე/საფასურზე**.
10. **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობა შეუძლია **ბანკის** იმ **კლიენტს**, რომელიც აკმაყოფილებს **ბანკის** მიერ დადგენილ, **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობისთვის დაწესებულ, კრიტერიუმებს. ამასთან, **SOLO ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **SOLO FAMILY ანგარიშთა პაკეტი** განკუთვნილია **SOLO ანგარიშთა პაკეტით** მოსარგებლე **კლიენტების** ოჯახის წევრებისთვის (მეუღლე, და, ძმა, დედა, მამა, შვილები 16 წლიდან).
11. **ბანკი** უფლებამოსილია:
- 11.1. ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს (მათ შორის დააწესოს ან/და გააუქმოს) **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობისთვის **კლიენტისთვის** დადგენილი კრიტერიუმ(ებ)ი;
- 11.2. ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს (მათ შორის დააწესოს ან/და გააუქმოს) **ანგარიშთა პაკეტით** მომსახურების პირობები (მათ შორის **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **საბანკო პროდუქტები/მომსახურება** ან/და **ანგარიშთა პაკეტის** ან/და **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **საბანკო პროდუქტ(ებ)ის/მომსახურების** **საკომისიო/საფასური**, მისი/მათი გადახდის ვადა/ვადები და ა.შ.).
- 11.3. ნებისმიერ დროს (მათ შორის **ხელშეკრულების** ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში), ცალმხრივად, სრულად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს **კლიენტს ანგარიშთა პაკეტით** მომსახურება (მათ შორის, **SOLO ანგარიშთა პაკეტის** შემთხვევაში, სარგებლობის ნებისმიერ ეტაპზე, **კლიენტის** მიერ, **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობისთვის **ბანკის** მიერ დადგენილი კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში);
12. ნებისმიერი მიზეზით **კლიენტისთვის SOLO ანგარიშთა პაკეტით** მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, ავტომატურად შეწყდება შესაბამისი **კლიენტის** ოჯახის წევრისთვის **SOLO FAMILY ანგარიშთა პაკეტით** მომსახურება.
13. ნებისმიერი მიზეზით **ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **საბანკო პროდუქტით/მომსახურებით** სარგებლობისთვის **კლიენტზე** გავრცელდება შესაბამისი **საბანკო პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის ბანკის** მიერ დადგენილი **საკომისიო/საფასური**, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი **საბანკო პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის ბანკის** მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ამასთან, **კლიენტი** ვეღარ შეძლებს ისარგებლოს იმ **საბანკო პროდუქტით/მომსახურებით**, რომელიც **ბანკის** მიერ ექსკლუზიურად შემუშავებულია/განკუთვნილია მხოლოდ იმ **კლიენტებისთვის**, რომლებიც სარგებლობენ **SOLO ანგარიშთა პაკეტით**.
14. თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ნებისმიერი მიზეზით **ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტის** მიერ გადახდილი **ანგარიშთა პაკეტის საკომისიო კლიენტისთვის** სრულ ან ნაწილობრივ დაბრუნებას არ ექვემდებარება.
15. **ბანკი** უფლებამოსილია **ანგარიშთა პაკეტით** მომსახურების ფარგლებში **კლიენტის** ნებისმიერი სახის დავალიანება/გადასახდელი, **კლიენტის** დამატებითი აქცეპტის/თანხმობის გარეშე ჩამოწეროს **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან**, ხოლო თუ დავალიანება/გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის მასთან მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების

ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს ანგარიშიდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი დავალიანების/გადასახდელის დასაფარად.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

კლიენტი

თარიღი: [რიცხვი] [თვე] 20[••] წელი